„დროების" რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხცოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების" ფასი პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი·

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა თბილისის წიგნის მაღაზიებში
თ. გიორგი დავითის ძის
ერისთავის
თხზულება

წიგნი შეიცავს 594 გვერდს. თხზულების დასაწყისში არის დართული პორტრეტი პოეტისა, ლეიბციხში გაკეთებული. იქვე არის მცირე შესავალი თ. აკაკი წერეთლისა და ვრცელი ბიოგრაფიული და კრიტიკული შემეცნება ი. მეუნარგიასი.

ფასი წიგნისა

თბილისში 2 მ. გაგზავნით 2 მ. და 40 კ. საგანგებოდ გაკეთებულის კალენკორის ყდით.

მოკლეს დროში წიგნი გაიგზავნება ქუთაისში და ყველა საქართველოს უეზდის ქალაქებში, საცა წიგნების ვაჭრობა არის.

ქალაქიდამ წიგნის დაბარება ამ ადრესით შეიძლება: Тифлисъ. Въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова.
(10—4)

შინაური ქრონიკა

— გუშინ-წინ-ღამ, თორმეტს საათზედ შუა ქალაქში გაჩნდა საშინელი ცეცხლი და თითქმის მთელს გარეთუბანს მოედო. ცეცხლი თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა, რადგან საღამოზედ ამოვარდნილი ქარი 12 საათამდის უფრო-და-უფრო მეტის სიძლიერითა ჰქროდა. ჯერ, როგორც ამბობენ, ერთს მებელის მაღაზიაში გაჩენილა ცეცხლი და იქიდამ მთელს მაღაზიების რიგზედ გადასულა, დატრიალებულა ირგვლივ და მთელი ის შენობანი იარმუკაზედ, რომელიც თ. ი. კ. მუხრანსკის ეკუთვნის, გაუნადგურებია იმ სახლის გარდა, რომელშიაც სავაჭრო კანტორა ჰქონდა მას. ამას გარდა, ცეცხლი ყასბების ქუჩის იქითაც გადასულა და წაჰკიდებია ათსა და უფრო მეტს სახლს. გაძლიერებულს ცეცხლს დიდხანს ამაოდ ებრძოლა კამანდა, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, დასძლია და გუშინ, შუა-დღისას, თუმცა ჯერ ქარი მაინც არ ჩავარდნილიყო, გაანელა ჯოჯოხეთის სტიქიონი. მთელი ეს უბანი გაოხრებულ და გადაბუგულ მიდამოს წარმოადგენს. ზარალი დახლოებით რამდენიმე ათი-ათას თუმანზე მეტი იქნება. ჯერ თითო მებელის მაღაზიაში ელაგა ათასის თუმნის საქონელი. ქარგია კიდევ, რომ ქარმა ცეცხლი ჩრდილოეთიდამ სამხრეთისკენ წაიღო და მეორე რიგს მებელის მაღაზიებისას ააცილა, თორემ ორჯერ მეტი ზარალი იქნებოდა.

— ფოთიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურ ვაჭრებს გადაუწყვეტიათ კვირა-უქმობით დუქნების დაკეტვა და თავიანთის შეგირდების მოსვენება კვირაში ერთის დღის განმავლობაში მაინც. უნდა ვსთქვათ, რომ ფრიად გონივრული გადაწყვეტილებაა და დიდს შეღავათს მისცემს ეს გარემოება საცოდავ დუქნის შეგირდებს და პრიკაშჩიკებსაც, რომელნიც მთელის წლის განმავლობაში საშინელ ჯაფასა და ფაცი-ფუცში არიან და ხშირად სრული თვეები გაივლის ხოლმე, რომ მზის დანახვას ვერ უნდა ეღირსონ.

— სოფ. დიდ-ჯიხაიშიდამ გვატყობინებენ, რომ იქ გაჩენილა საქონლის ჭირი და სოფლელები დიდ შეწუხებაში არიანო. ავად-მყოფი საქონელი ხუთი საათის განმავლობაში კვდება თურმე. მაისის 18-დამ 27-მდე მომკვდარა 12 სული.

— ზარე-კახეთიდამ, სოფ. ველისციხიდამ გვწერენ, რომ იქ გაძრიელებული ყვავილი მძვინვარებდა და მარტიდამ მოკიდებული აქამომდე მას უმსხვერპლია სამოც-და-ათამდე ადამიანი. მაგრამ სოფლელების სასიხარულოდ სოფლის უფროსს მ. ქალანთაროვს მოუწვევია ამცრელი ნანაბოვი, რომელსაც კარდაკარ დაუვლია სახლები, მრავალთათვის აუცრია და ეს სენი შესუსტებულა. სოფლელებს პირველად უუვარნიათ აცრა, მაგრამ სარგებლობა რომ დაუნახავთ, დიდებიც კი იცრიდენ თურმე.

— მაისის 29 ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გაუტეხნიათ პრიკაზის არხივის ერთი კედელი, რომელიც განყოფდა ამ არხივს ფულის დასაცველი ოთახისაგან. ამ ოთახში ფულს გარდა ბევრი სხვა-და-სხვა ძვირფასი სამკაული და ნივთი ყოფილა ფასით რამდენიმე ათასი თუმნისა. ბოროტ-მოქმედს ვერ შეუსრულებია თავისი საქმე, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთს ალაგას მას დახვედრია შიგნიდამ გაკეთებული კარი, რომელიც ვერა ღონისძიებით ვერ შეუნგრევია. («კავკაზი»).

— თიანეთის მაზრიდამ შემდეგს ამბავსა სწერენ გაზ. «კავკაზს»: «საქონლის ყოლა (განსაკუთრებით თხაცხვრისა) ერთად ერთს სახსარს შეადგენს არსებობისას მომთაბარე თუშებისა და ფშაველებისათვის, რომელთაც ზამთრობით თავიანთი თხა-ცხვარი

«დროების» ფელეტონი ივნისის 1-ს.

საარჩევანო ცხელება ქუთაისში

II *)

დავით ნიკ. ბაქრაძე.

....ძმა ძმისა საზიანოსა
თუ არ მიიჩნევს ზიანად,
ორივ მტერთაგან დაიწვის
სახლ-საბძელ-კალო ბზიანად!

დ. გურამიშვილი.

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულს ფაკულტეტზე კურს-დასრულებული გახლავსთ. სასამართლო რეფორმების შემოღების დროს ჩვენში დანიშნულ იქმნა ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ მსაჯულად, და რამდენიმე წლის შემდეგ ამავე თანამდებობაზე გადმოიყვანეს ქუთაისის მაზრაში, სადაც დღესაც იგივე ადგილი უჭირავს... როდესაც ქუთაისში შესდგა კომისია, რომელსაც უნდა ეზრუნა სათავად-აზნაურო ბანკის — ნება მოგვეცით ასე ვთქვათ — შობის დროს ბებიობის როლის ასასრულებლად, სხვათა შორის, დ. ბაქრაძეც იყო ამ კომისიაში არჩეული.

კომისიამ რომ დაასრულა თავის წინასწარი ღვაწლი, მოიწვია დამფუძნებელთა ზოგადი კრება ბანკის გამგეობის ასარჩევად.

ბუნება თანა-ზიარი და გულ-უბრყვილო დ. ნ. ბაქრაძე თავიანთ დუდუკზე მოთამაშედ გაიხადეს საზოგადო საქმეში ცელქმა დიდმა ბავშვებმა, რომელთაც ვითომ სხვა გვარი ბანკის დაფუძნება სურდათ, მაგრამ რა გვარის ბანკისა—ეს კი მათთვისაც ისეთი ბუნდოვანი კითხვა იყო, როგორც ჩვენთვის, საზოგადოებისათვის... მაგრამ მათთვის ესეც სრულიად საკმარისი საბაბი იყო საკუთარის დასის შესადგენად მეცადინეობისათვის,.... ქვეყანაზედ მხოლოდ მკვდარი ვერ შესძლებს დასის (სუსტისას თუ ძლიერისას, ეგ სხვა საქმეა) შედგენას, თორემ სიცოცხლით სავსე, და მეტადრე შუშხუნა სიტყვების უხვად მხარჯველი და თავ-მოკატუნებით საზოგადო საქმისთვის თავდადებულობის წარმომადგენელი ადამიანები ყოველთვის იპოვნიან ოცოდე ბრმად მიმყოლებს...

აი, ამისთანა დასის «მეთაურობა», ანუ უფრო სამართლიანად რომ ვსთქვათ—ამისთანა დასისთვის მსხვერპლად თავის გაწირვა იკისრა დ. ბაქრაძემ, როცა იგი გამოვიდა საარჩევანო ასპარეზზედ ბანკის გამგეობის თავმჯდომარეობაზე კინჭის საყრელად, ბეს. ლ. ლოლობერიძის წინაამდეგ...

სასაცილო და თან სამწუხარო ის არის, რომ თვით ის პირნი, რომელთ მსხვერპლად დ. ნ. ბ—ძე გამოდიოდა, ფუჩუნით ამბობდენ, ჩვენი გამარჯვება უეჭველი იქნებოდა, კარგი კანდიდატი რომ გვყავდესო! ამ გვარს საქმეში „ფუჩუნი" ყოველგან და მეტადრე იმერეთში ყველასთვის ყურ-მოსაკრავად გადაიქცევა ხოლმე, და ასეც მოხდა... ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ ნაცვლად ბანკის სათავემჯდომარეო სავარძლისა, რომელიც ერგო ბეს. ლოლობერიძეს, დ. ბაქრაძეს ფრაკის გახევა ხვდა წილად, კრებაში მომხდარის ჩოჩქოლის გამო, და შემდეგი ოხუნჯური ლექსი რომელსაც ერთის ჩვენის გამოჩენილის პოეტის კალამს აწერენ:

წრეულს იყო ნაკი *)
გაიხსნა ბანკი,
გაიხა ფრაკი
და სხვა....!

შემდეგაც ორჯერ გამოვიდა იგივ გმირი საარჩევანო ასპარეზზე ნ. ლოლობერიძეს მეტოქედ, მაგრამ ორჯერვე ვერ გასცურა შავ-კენჭთა მორევი... საკუთრად მისთვის ამ უსიამოვნო შედეგს კენჭის-ყრისას მან დართო სამჯერ ზედი-ზედ, (როგორც გვახსოვს) იმისთანა რამ, რომელიც მთელის ჩვენი საზოგადოებისათვის დიდად სამწუხარო მოვლენას შეადგენს, რომლის მსგავსსაც და რომლის

*) იხილე „დროება" № 91.

*) კრების პირველი წელიწადი ნაკიანი იყო. ავტ.

საბალახოდ შირაქის მინდვრებზედ დაუ-
დით, ხოლო ზაფხულობით თრიალეთ-
ზე მიერეკებიან. ხაზინის სასარგებლოდ
საბალახოს იხდიან იგინი მუდამ წელს
10,000 მანათამდე და ქსრედ წოდე-
ბულს «ტარაბანსა», და ბუღდო მთაში
აშენებული აქვთ ფარეხები და გომე-
ბი, ანუ ბინები იორის მარცხენა მხა-
რეზე, რომელნიც, რასაკვირველია, ია-
ფად არა აქვთ დამჯდარი. ამ ბოლოს
დროს ამ მინდვრებს ეცილებიან მათ
სიღნაღის მაზრის მცხოვრებელნი ჭარ-
ბელაქნის ლეკები და ბანჯის თათრე-
ბი და საშინლად ავიწროებენ თუშ-
ფშაველებს. თუმცა ამ მოცილეობისა
და საზოგადოდ მეცხვარეთა შორის
ატეხილ დავი-დარაბის გადასაწყვეტ-
ლად და აგრეთვე საძოვრის მინდვრე-
ბის თანაბრად განაწილებისათვის შე-
დგენილია ცალკე კომისია და სახელ-
მწიფოთა ქონებათა სამინისტროს ჩი-
ნოვნიკებიც არა იშვიათად იგზავნე-
ბიან ხოლმე, მაგრამ ეს სადავო-დარა-
ბო საგანი ჯერ აქამომდე არ გადა-
წყვეტილა საბოლოოდ. ცხადი კია,
რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ამი-
ერ-კავკასიის მეცხვარეობისათვის; მო-
ცილეთა შორის ჩხუბს და ვაი-ვაგლახს
ხშირად ურთი-ერთის თავ-პირის
მტვრევას, ცარცვას და მკვლელობას
იწვევს. თუ თან-და-თან ასე მოუჭრეს
და მოუკლეს თუშებსა და ფშაველებს
საძოვარი მინდვრები ახლად მოსულ-
თა სასარგებლოდ, ესენი სრულიად
გაღატაკდებიან. ჯერ ეხლავე იძულე-
ბულნი არიან იღონ იჯარით მინდვ-
რები ახლად დაბინავებულთაგან და
აძლიონ 200—700 მან. ამას გარ-
და მომთაბარენი მთიდამ რომ ჩამო-
დიან, უკვე მოძოვილი ხვდებათ მინ-
დვრები დაბინადრებული მეზობლები-
საგან. ყველა ზემოხსენებულიდამ სჩანს,
რომ თუშ-ფშაველებმა, ამ საუ-
კეთესო საქონლის მომვლელებმა
და ყველის გამკეთებლებმა ამიერ-კავკა-
სიაში, ჩქარა თავი უნდა დაანებონ თა-
ვიანთ ხელობას, უკეთუ მთავრობა
არავითარ ზომებს არ მიიღებს მათი
მინდვრების მოკლებისა და განსაზღვ-
რის წინააღმდეგ".

— „ნოვოსტებში" ვკითხულობთ,
რომ ამ ზაფხულს განზრახვა აქვთ
სცადონ აბრეშუმის ბუნებრივი შეღება,
რომელიც პირ-და-პირ დამოკიდებუ-
ლია, როგორც რიუმეს და დელიდოთ-
ნის ცდას დაუმტკიცებია, იმ საჭმელ-
ზე, რომლითაც იკვებება აბრეშუმის
ჭია. მაგ. თუ მათ ჰკვებავ ვაზის
ფოთლით, მშვენიერი ალის-ფერი წი-
თელი აბრეშუმი გაკეთდება, თუ ჭინ-
ჭრის ფოთოლსა და ლატკუკისას აჭ-
მევთ, პირველ შემთხვევაში პარკები
სოსანს ფერს იღებენ, მეორე შემთ-
ხვევაში მწვანე — ზურმუხტის ფერად
იღებებიან. კავკასიის მთავარ-მმართე-
ბელმა, თავ. დონდუკოვ-კორსაკოვ-
მა მიიღო მხედველობაში, რომ ამ
სახით აბრეშუმის შეღება ძალიან წინ
წასწევს ჩვენში აბრეშუმის კეთების
საქმეს და შესამჩნევლადაც გააიაფებს
ფერად აბრეშუმს ჩვენს ბაზრებში, და
განიზრახა სცადოს ბუნებრივი შეღე-
ბა აბრეშუმისა კავკასიაში და შემდეგ,
თუ კარგი შედეგი მოჰყვა ამ ცდას,
დაეხმაროს კავკასიის აბრეშუმის მკე-
თებელთ აბრეშუმის ბუნებრივად შე-
ღების საქმეში.

— «მოსკოვის უწყებებში» შემდე-
გი სწერია ჩაით ვაჭრობის შესახებ სა-
რუსეთო შუა-აზიაში: მწვანე ჩაი შუა-
აზიაში ეხლა ინდოეთიდამ მოდის ბე-
რათზე და ავგანისტანზედ უბაჟოდ და
სრული მოგება ამ ვაჭრობისა ინგლი-
სელებს რჩებათ. ახლა რუსეთის კამ-
პანია შემდგარა, ამ უფლების მოპო-
ვებისათვის შუამდგომლობს მთავრო-
ბის წინაშე და სახეში აქვს მწვანე ჩაი
შუა აზიაში ზიდოს უფრო იაფის გზით,
ესე იგი ზღვით ფოთამდე, შემდეგ
რკინის-გზით ბაქომდე, მერე კასპიის
ზღვით კულტუკამდე და შემდეგ აზიის
უდაბურ ადგილებში. ამ გვარად ჩაის
ზიდვით, კამპანიას იმედი აქვს, რომ
მრავალ მის მუშტარს და მხმარებელს
უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე ეხლა,
გავრცელდება ხივისა და ბუხრის სამ-
ფლობელოებშიც, რომელნიც აზიის
ვაკე ადგილებითურთ დიდს ფულს აძ-
ლევენ ხელში ოქროთი ინგლისელებს
და ავგანელთ.

«დროების» კორესპონდენცია

ბათუმი. მაისის 24. სიამოვნებით
მოველოდით ჩვენს ქართულ დრამა-
ტიულს დასს ბათუმში. სწორე მოგახ-
სენოთ, სასიამოვნოა, როდესაც იცი,
რომ პროვინციაში გამოყრუებულს
ადამიანს ექნება შემთხვევა დაიტკბოს
ესტეტიური გრძნობები წარმოდგენე-
ბით. დღეს ბათუმშია ჩვენი დასი.
აგერ ოთხი წარმოდგენა გამართა, მე-
ხუთესაც აპირობს. სამმა წარმოდგე-
ნამ ძალიან ცუდად ჩაიარეს. ისეთი
ცუდი შთაბეჭდილება იქონიეს საზო-
გადოებაზე, რომ საფიქრებელი იყო,
შემდეგს წარმოდგენებზე სრულიად
აღარავინ მოსულიყო. ამ გვარის შთა-
ბეჭდილების მიზეზი სამის წარმოდგე-
ნისა პირველად ჩვეულებრივი სენი
იყო ჩვენის არტისტებისა, როლების
უცოდინრობა, მეორედ ისა, რომ
აფიშაში სხვა პიესას აცხადებენ და სცე-
ნაზე სცვლიან. რით ვერ შეიტყეს,
რომ ამგვარი საქციელით საზოგადოე-
ბას თავს აზიზღებენ არტისტები, რის
გამოც სუსტდება ის სიმპატია, რომე-
ლიც საზოგადოების და დასის შორის
უნდა იყოს. მეოთხე წარმოდგენამ
ცოცხლად ჩაიარა, ზალა სავსე იყო
ხალხით. ისეთი სასიამოვნო შთაბეჭ-
დილება მოახდინა ხალხზე ამ წარმო-
დგენამ, რომ, მგონი, სულ გამოისყი-
და წინანდელი წარმოდგენების უსია-
მოვნო შთაბეჭდილება. წარმოადგინეს
„აღმზრდელები" და „ბიძიასთან გა-
მოხუმრება". ნახევარი შემოსავალი
ამ წარმოდგენიდგან ჩვენმა არტისტე-
ბმა შესწირეს ბათუმის „წერა-კითხ-
ვის გამავრცელებელი საზოგადოების"
სკოლას. წმინდა შემოსავალი იყო
152 მანეთი; სკოლას ერგო 76
მანეთი, რომელიც უნდა გარდაეცეს
მასწავლებელს ბ. ნათაძეს სკოლის სა-
ჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ
წარმოდგენის ცოცხლად და სასიამოვ-
ნოდ ჩავლის მიზეზები იყვნენ ჩვენი
ნიჭიერი აქტრისები: ქ.ქ. ბაბუნია და
საფაროვისა. დიდის მადლობის ღირ-
სია ქ. ბაბუნია, რომელმაც სკოლის
პატივის-ცემის გულისთვის მიიღო მო-
ნაწილეობა, როგორც სცენის მოყვა-
რემ. ის ბათუმში მობძანდა თავის
საქმისათვის და არა როგორც აქტრისა.
გულითადის მადლობის ღირსნი არიან:
ბ.ბ. მოხევე, აბაშიძე და ანდრონი-
კოვისა, რომელთაც დიდი შრომა
გასწიეს, რომ სკოლას რაიმე შემოსა-
ვალი რგებოდა. მადლობის ღირსია
აგრეთვე ჩვენი ქართველი საზოგადოე-
ბა, რომელიც ყოველთვის მზად არის
თვისი სიყვარული და თანაგრძნობა
არ მოაკლოს ბათუმის ქართულ სკო-
ლას. კარგი შთაბეჭდილება მოახდი-
ნეს საზოგადოებაზე ანდრონიკოვისამ
და ბაბუნიამ, რომელთაც დივერტის-
მენტში მიიღეს მონაწილეობა—პირ-
ველმა ლეკურით, მეორემ სიმღერით.

არ შემიძლიან დავმალო ის უსია-
მოვნობა, რომელიც ჩვენზე მოახდინა
ერთმა გარემოებამ. „ბიძიასთან გა-
მოხუმრება" ისე შეამოკლეს, რომ,
ასე გასინჯეთ, ის ეფექტიური ნაწი-
ლი ვოდევილისა, რომელიც ერთი
ათად აცხოველებს პიესას „დახე, ჩვე-
ნი ქალაქი რა რიგად გამოცვლილა"
და სხ. სულ მთლად გამოტოვეს. ვი-
სურვებ გულით და სულით, რომ
შემდეგში პროვინციალებში დამხვე-

მომქმედს, თანამგრძნობ-მოთანხმები-
თურთ უნდა სდევნიდეს ყოველი ღირ-
სეული ქართველი ყოველგან და ყო-
ველთვის საზოგადოებრივის ზნეობის
პრინციპისამებრ (დედა-აზრი)... იმაზე
მოგახსენებთ, რომ ყოველთვის კრე-
ბის გათავების შემდეგ ბ-ნი ბ—ძე
თავის «ზნეობრივ მოვალეობად»
სთვლიდა გაეშანშალებინა თითო
დასტა ქაღალდზე წილადობილა საჩი-
ვარი ფინანსთა მინისტრის წინაშე,
რომ რამდენიმე მეკენჭე ყალბის ვექი-
ლობებით უსამართლოდ განაგებდენ
ორ კენჭსაო, კრების თავსმჯდომარემ
კითხვის დადგენის შემდეგ სიტყვა წარ-
მოსთქვაო და სხ. და სხ... ვიკითხავთ:
დიდად განსხვავდება ვითომ ამისთანა
საჩივარი დანოსისაგან?...

სასირცხვილო, დასაძრახისი და სა-
ძაგებელი არ არის, როცა ად-
ვილად შეიძლება შინაურობაშივე ში-
ნაურთა მსჯავრით საქმე სამართლია-
ნად გადაწყდეს!

ეს არის, ჩვენის აზრით, ერთად-
ერთი შავი და მოურეცხელი (ჯერედ)
ჭუჭყი დ. ბ—ძის საზოგადოებრივის
მოღვაწეობისა, და უნდა გამოვტყდეთ,
რომ ეს იმისთანა ერთად-ერთია, რო-
მელიც სჭარბობს ყველა მომაკვდინე-
ბელ ცოდვებს, და თითქმის შთანთქავს
მისს მეტოქეთა ყოველსავე ნაკლულე-
ვანებას...

თვინიერ ამისა, დანარჩენი მოღვა-
წეობა დ. ბ—ძისა არის ყოვლად
მოსაწონი და საქებელი. ქუთაისში
გაზეთის შრომის დაფუძნება იყო შე-
დეგი, სხვათა შორის, მისის უპირა-
ტესის თაოსნობისა. პირველი ნომრი-
დამ დაწყებული უკანასკნელამდე იგი
უდგამდა სულს ამ გაზეთს, და რო-
დესაც აზნაურობის შარშანწინდელს
კრებაზე ახალ-გაზდობამ წამოაყენა
«თემობისა» (земство) და სასამართ-
ლოებში და სასწავლებლებში დედა-
ენისთვის შესაფერის ადგილის მინი-
ჭების კითხვები— დ. ბაქრაძემ ნიჭიე-
რად გადაიტანა მათი განსჯა შრომის
ფურცლებზე, გონიერად გადაწყვიტა
ისინი, და აზნაურობის კრებაში თი-
თქმის მარტო თვითონ იღო კისრად
ამ საგნების მოწინააღმდეგეთა პირის-
პირ ბრძოლა, რომელიც გათავდა მი-
სი სრულის გამარჯვებით..

დიდად საკვირველია ეს ორი მხარე
დ. ბაქრაძის მოღვაწეობისა: ერთ-გზის
სხვათა-თანა რბენა, «არიქა შენი ჭირიმე
გვიშველეთ, თორემ ჩვენში ავსა კარგი-
საგან ვერ არჩევენო», და მეორე-გზის
კი —„ბაგლახად ნუ გვიყურებთ, ჩვენ გო-
ნებით მწიფენი გახლავართ, მოგვანიჭეთ
თვით-მმართველობა (თემობა) და სხ..."

ამის შემდეგ, ჩვენ აღარ გაგვი-
კვირდება, თუ ნ. ლოლობერიძემ ბო-
ლო გაატანა თავის უარს, რომ დ.
ბაქრაძემ მაინც კიდევ იყაროს კენჭი,
თუმცა ამ სამი წლის წინედ კრების
წინაშე, სცენიდამ წარმოსთქვა, მე
და ჩემს დასს ის გვწადიან, რომ ნ.
ლ—ძე არ იყოს ბანკის გამგე-
ბლადაო; თუ ნ. ლ—ძე უარს იტყვის
კენჭის-ყრაზე, მეც უარს-ვყოფ ჩემს
კანდიდატურასაო...

III

თ. მელქისედექ ფაღავა.

„არარაისგან არ იქმნების არა რაიცა".
შექსპირი.

«კანონი გამოუნაკლოდ არ არი-
სო»—ნათქვამია. ჭეშმარიტად! ამ
შემთხვევაში ჩვენგან ეპიგრაფად მო-
ტანილს ჭეშმარიტს სიტყვებს შექსპი-
რისას აქვს საყურადღებო გამონაკლი:
არა-რაისაგან იქმნა ლამაზად-მორგ-
ვალებული დირექტორი ბანკისა, რო-
მელიც ზოგიერთს გულ-უბრყვილოს და
ბანძის უნივერსიტეტში კურს-დასრუ-
ლებულს ადამიანს—წარმოიდგინეთ!—
ბანკის გამგეობის თავს-მჯდომარეობის
თანამდებობაზე... კან-დი-და-ტად ეგუ-
ლება! დაიჯერებთ? უნდა დაიჯეროთ,
რადგანაც ზოგიერთებისაგან გამიგო-
ნია, რომ მართლა ეპირებთ მის
დასახელებასო! მართალია, დასა-
ხელებიდამ არჩევამდის ერთობ დი-
დი მანძილია, მაგრამ, მოგეხსენებათ,
ზოგჯერ დასახელებაც ფრიად სამწუ-
ხაროა, მეტადრე საზოგადო საქმეში...
მოსკოვის უნივერსიტეტის მატიანე
მოგვითხრობს, რომ ამ უნივერსიტე-
ტის იურიდიული ფაკულტეტის სრუ-
ლი კურსი განვლო თ—დმან მ. ფა-
ღავამაო. ჩვენ თვითონ კი ვუწყით,
რომ იგი ორჯერ, ზედი-ზედ არჩეულ
იქმნა ბანკის დირექტორად, წყალო-
ბითა თ. ბახვა ფაღავისა და თავის

ლი ესტეტიური გრძნობები ჩვენს ნიჭიერს და საყვარელს არტისტებს რიგიანად დაეტყბოთ.

უცხოეთი.

საფრანგეთი. ამ დღეებში სენატს ჰქონია ბაასი დეპუტატი ნაქეს პროექტ'ე ცოლ-ქმართა გაყრის შესახებ. პირველად ლაპარაკის ნება თვით ნაქესთვის მიუციათ. ორატორს მოუგონებია სენატისთვის, რომ ესევე წინადადება იმან 1876 წელსაც შეიტანა, მაგრამ მასხარად აიგდეს. მას შემდეგ ამ აზრმა ფესვები გაიდგა საზოგადოებაში და დიდი თანაგრძნობაც მოიპოვა, რაშიაც მას მწერლობაც ძლიერ დაეხმარა. ეხლა საზოგადო აზრი და 50.000 ფაქტიკურად გაყრილნი ცოლ-ქმარნი თხოულობენ, რათა დადგენილ-იქმნას კანონი გაყრის შესახებაო. ორატორი არწმუნებდა მსმენელთ, რომ რამდენადაც ხალხი უფრო ნათლდება, იმდენად უფრო ძლიერდება უთანხმობა ცოლ-ქმრებშიო. იმის აზრით, ცოლ-ქმრების ფაქტიკურად გაყრა საკმაო არ არის. ნაქემ გადაავლო თვალი უცხო ქვეყნელ კანონმდებლობათ ამ საგნის შესახებ და დაუმატა: «მე მითხრეს, რომ გაყრილნი ცოლნი ძნელად გათხოვდებიანო, მაგრამ ნამდვილად კი გაყრილნი ცოლნი უფრო ადვილად თხოვდებიან, ვიდრე ქალწული ქალები (სიცილი.). ეს გარემოება უთუოდ იმით აიხსნება, რომ ცოლ-ქმრობა იქამდინ ბუნებითია, რომ ვინც ერთხელ გამოსცდის მას, უიმისოდ ცხოვრება აღარ შეუძლიან (სიცილი). მაგრამ დედა-კაცები სრულიადაც არ იქნებიან ვალდებულნი ითხოვონ გაყრა: ცოლ-ქმართა ფაქტიკური გაყრა დარჩება ჩვენს კანონში».

— მაისის 23-ს (ახ. სტ.) პალატის კომისიის სხდომაზე 5 მილიონი ფრ. კრედიტის შესახებ, რომელსაც მმართებლობა თხოულობს მადაგასკარის ექსპედიციისათვის, ჟულ-ფერიმ და ზღვათა მინისტრმა, ვიცე-ადმირალმა პეირონმა, ოფიციალურად გამოუცხადეს კომისიის წევრთა, რომ საფრანგეთის ესკადრა უკვე გარ-შემოერტყა მადაგასკარსაო. ეს გარე-შემორტყმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჰოვასის კომისარები, რომელთაც მინდობილი აქვთ საფრანგეთის მმართებლობის წარმომადგენლებთან მორიგებაზე მოლაპარაკება, ისე უსინიდისოდ იქცევიან, რომ მეტი მოთმენა აღარ შეიძლებოდაო; ისინი საქმეს მეტად აჯანჯლებენ და აგვიანებენო, არ ასრულებენ თავიანთ დაპირებულს და თითქო კიდეც დასცინიან საფრანგეთის ელჩებსაო. ორივე მინისტრი დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთის მმართებლობის ენერგიული მოქმედება თავისას გაიტანს და ესკადრის გარ-შემორტყმა მალე იძულებულ ჰყოფს ჰოვასებს, დამორჩილდენ საფრანგეთს იმ პირობებით, რა პირობებითაც ამ უკანასკნელსა სურსო.

სერბია. სერბიის სკუპშჩინამ, რომელსაც ნიშში აქვს სხდომები, განიხილა მრავალი კანონ-პროექტი და ყველანი უცვლელად მიიღო. პირველად მიიღო ერთხმად კანონი ბეჭვდის შესახებ, თუმცა უზომოდ სასტიკია ეს კანონი. იმის ძალით რედაქტორთ და გამომცემელთ უნდა გადახდეს 2000 ფრანკამდინ ჯარიმა და ორ წლამდინ საპატიმროში დაიმწყვდენ იმისთანა დანაშაულობისათვის, რომელიც კანონთა წიგნში არ არის მოხსენებული. სკუპშჩინამ მიიღო აგრეთვე უბაასოდ ის ახალი კანონიც, რომელიც საზოგადო კრებებს შეეხება. ბოლოს მიღებულ-იქმნა კარგა-ძალი ხმის უმეტესობით მმართებლობის წინადადებაც ჟანდარმთა კორპუსის დაწესებაზედ, რომელიც შინაური საქმეთა მინისტრს უნდა ემორჩილებოდეს.

მაისის 30-ის სხდომაზე მოწინააღმდეგე დეპუტატთ რაშეი ნინიჩმა და სიმა მილოშევიჩმა აღძრეს კითხვა იმის შესახებ, თუ მმართებლობამ რა საშუალება იხმარა იმ არეულობის მოსასპობლად, რომელიც შარშან სერბიის აღმოსავლეთ მაზრებში მოხდა. ამ კითხვაზე სკუპშჩინამ ისეთი პასუხი მისცა, როგორიც არც ერთს ევროპიულს პარლამენტში არაოდეს არ გაგონილა, ე. ი. უმრავლესობამ გადასწყვიტა გამართონ საიდუმლო სხდომა და დაადგინონ ორივე მოწინააღმდეგე დეპუტატის სკუპშჩინიდამ გამორიცხვა.

ბრიტანიის ინდოეთი. გაზეთებიდგან ვტყობილობთ, რომ ინდოეთის მმართებლობას ქვეითა ჯარის ორი ბატალიონი გაუგზავნია ინგლისის სამფლობელოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარზე ადგილ ბრივი მცხოვრებლების დასასჯელად, რადგანაც ისინი ხშირად ესევიან და სცარცვამენ ახლო მდებარე სოფლებს.

ინდოეთიდამვე იწერებიან გაზეთებში, რომ იქაურს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ინდოეთის საზღვრიდგან ქვეთამდინ რკინის გზა გაიყვანოსო. ამ გზის პროექტზე ხელიც მოაწერა ინდოეთის სტატ-სეკრეტარმაო. დიდი ხანია ამ გზის კეთება ნელ-ნელა და ჩუმად მზადდება თურმე. ზოგიერთა ადგილას გზა მომზადებულიც არის რელსების დასაგებად.

დიდხანს მალავდენ ინგლისელები თავიანთ ნამდვილს განძრახვას რკინის გზის გაკეთების შესახებ და, როდესაც მუშაობა დაიწყეს, ამბობდენ თურმე — რკინის გზას კი არ ვაკეთებთ, შარაგზას ვასწორებთო. ჯერ ბოლანის მთის გასავალზე სდომებიათ გზის გატარება, მაგრამ შემდეგ შეუცვლიათ ეს განზრახვა და უფრო უმჯობესად უცვნიათ გუნაიზე გაყვანა. წინანდელს პროექტს ბევრი მოსარჩლე გამოსჩენია ინჟენრებსა და სამხედრო საქმის მცოდნეთა შორის. — როგორც იწერებიან, ამ გზის გაკეთების საგანი ის არის, რომ ინგლისელები დამკვიდრდენ ავღანისტანში და კვლავ დაიჭირონ იქ მაგარი ადგილებიო. გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად ინგლისისთვის საჭიროა ყანდაარის დაპყრობა, ხოლო რუსეთისათვის — ჰერათისაო; რომელი სახელმწიფოც მოასწრობს და პირველად დაიპყრობს ერთს ამ ადგილთაგანს, ავღანისტანის ძალი მთლად იმის მხარეზე იქმნებაო.

ამ გზას დიდ მნიშვნელობას აწერენ ინგლისური გაზეთები; მათი სიტყვით, ეს გზა ისეთი მოსაზრებით კეთდება, რომ ინგლისი არამც თუ ყანდაარს უახლოვდება, არამედ ჰერათსაცაო და, ვინიცობაა, ომი ასტყდა რუსეთსა და ინგლისს შუა, ამ უკანასკნელს სახელმწიფოს თითქმის იმოდენავე მანძილი ექნება ჰერათამდინ გასავლელი, რამდენიც რუსეთსა აქვსო.

როგორც ინგლისური გაზეთების კორესპონდენტები იწერებიან ინდოეთიდგან, ამ გზის ქვეთამდე გაყვანას ორ წელიწადზე მეტი არ მოუნდებიან და 2,000,000 გირ. სტერლინგამდინ დაუჯდებათ. მუშაობა ძალიან ჩქარა მიდის წინ; ყველა რკინის მასალები, როგორც მაგ., რელსები, ხიდებისთვის ზოძები და სხვანი სულ ერთიანად ინგლისიდგან მიაქვთ თურმე იქ.

სხვა-და-სხვა ამბავი.

თუ რა ქონების პატრონები ყოფილან ძველ დროში ზოგიერთნი პირნი, შემდეგი მაგალითები გვიჩვენებენ: იულიოს კეისარი რომ მოჰკლეს, ანტონიოსს მაშინ 75,000,000 მარკი

დაბადების ადგილისათა... ორჯერ დაესწრო ის, როგორც გამგეობის წევრი, საბანკო კრებას, ორჯერვე მკაცრის იერიშით მიდიოდა ოპოზიცია გამგეობაზე და თ. მ. შალავა კი ყოველთვის ღიმილითა და სამარისებურის დუმილით აძლევდა მას პასუხს... აქ არაფერი გახლავთ, ბატონებო, საკვირველი, და ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ კასირის თანამდებობისათვის დროებით ხელ-მოკიდების-თანავე (მესამე დღეს) მისმა ბრწყინვალებამ რვა ასი მანეთი... დაუდევრობით გადააყოლა და ნელ-ნელა ჯამაგირით შეავსო...

— არაფერია, უარესიც მომხდარაო! ამბობდენ მაშინ ქუთაისში. ოღონდაც! თუ თქვენც იტყვით, მკითხველნო...

IV

თ. ნიკოლოზ დადიანი.

ერთი შეწვი,
მეორე შესცხე!
ხალხ. ანდაზა.

«მას ჟამსა შინა» ქუთაისის სავაქო გიმნაზიის მესამე კლასის კურსის გათავების შემდეგ, თ. ნიკოლოზ დადიანი შესდგომია მთათა ზედა სამეგრელოისათა ვარსკვლავთ — მრიცხველობისა და ასტრონომიის შესწავლას და მასთან ერთად ბევრი უკითხავს არისტოტელის კატიღორია, ხრონოღრაფია, ტროადიანი, იოანე პეტრიწის თითქმის ყველა 995-თივე ნაწერი, ბარამიანი, დავრიშიანი, ალექსი ღვთისკაცი და სხ. და სხვანი. ამ კითხვამ წიგნებისამ მართლაც რომ ჩინებულად შეასწავლა მას ლექსიკურად და მხოლოდ ლექსიკურად ქართული ენა, რომლისთვისაც მას ძალუძს უკეთესი ცოცხალი ლექსიკონობა გასწიოს, ვიდრე თვით სულხან-საბა ორბელიანის ლექსთაკონს სწევს... ახირებული ხალხია მეგრელები და ცოცხალი ლექსიკონობის ნაცვლად, რომელსაც თვითონვე ვერ იყენებს თავის საქმეში, მას დაარქვეს ,,ფილოსოფოსი'' დიდის ამბით მოიყვანეს ქუთაისს ტახტრევანით და გამოჭიმეს ბანკის გამგეობის წევრის სავარძელში..

ამ თანამდებობაზე მისმან ბრწყინვალებამან ორი რამეთი მიიქცია საყოველთაო ყურადღება. ერთი იმით, რომ სამსახურის აღსასრულებლად იგი ცხადდებოდა ბანკის დარბაზში არა უადრეს თორმეტი-პირველის საათისა (და უკან ბრუნდებოდა კი ორზე) და ამ ორიოდე საათის განმავლობაშიაც თურმე — როგორც მოგვითხრობს ქუთ. ბანკის მატიანე — ის ზეჯითობით უკითხავდა თავის მეინახეთ ლექციებს დავრიშიანიდამ და ალექსი ღვთისკაციდამ... მეორედ იმითი მიიქცია ყურადღება, რომ როდესაც ერთხელ დროებით მიაბარეს ბანკის კასსა — რომელშიაც იყო რვა ათასი მანეთი, მან მეორე დღესვე... ათასი მანეთი გადააყოლა.... დაუდევრობითვე.

ამას იქით მკითხველს აღარ გაუკვირდება შემდეგი გარემოება: ერთხელ ბანკის მორიგის კრების დროს, როცა მისმან ბრწყინვალებამან იუკადრისა თავის წინადადების მიუღებლობა (კრებისაგან) და საფრანგეთის მინისტრსავით ითხოვა ,,მაშ გთხოვთ გამანთავისუფლოთ ამ (დირექტორის) თანამდებობიდამაო'', მთელმა კრებამ ერთხმად მოუწონა ეს საქციელი და აქო ამ გონიერის თხოვნისათვის...

მე და ჩემმა ღმერთმა, ეს დალოცვილი ცოცხალი ლექსიკონი დავრიშან-ყარამანიანისა და თუ მაინც-და-მაინც გნებავთ ვეფხვის ტყაოსნისაც, ოღონდ იმისთანა ადგილს, როგორიც არის საადგილ-მამულო ბანკი, რომელიც სრულიად მისი საქმე არ გახლავს — ნუ მოეპოტინება კი და ვარსკვლავთ-მრიცხველობის, რამლთა კვირისა და ალექსი ღვთის კაცის ცოდნისათვის მოწონება და ქება ჩვენ მოგვკითხოს, თუ უნდა ტომრობითაც...

Доз. ценз. Тифлисъ, 31 Мая 1884

ვალი ჰქონდა. აპპის $12\frac{1}{2}$ მილიონი გაუფლანგავს და როცა ორი მილიონი-ღა დარჩომია, თავი მოუკლავს, რადგანაც სილარიბეში ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნიაო, უთქვამს. მანამ ქეისარი საზოგადო სამსახურს შეუდგებოდა, 75 მილიონი ვალი ჰქონდა. კურიის მეგობრობა $12\frac{1}{2}$ მილიონით მიიგო, ლუცი პაულისა — $7\frac{1}{2}$ მილიონით. კალიგულას ერთ წელიწადზე ნაკლებ დროს 600 მილიონი დაუხარჯავს; ერთი ვახშამი ორი მილიონი უჯდებოდა. კრეზის შეძლება 100 მილიონამდის მიაღწევდა. ლუკულის თითო სადილი ნახევარ მილიონი ჯდებოდა. სენეკას $88\frac{1}{2}$ მილიონი ჰქონია.

დაიქცევოდა რომის იმპერია, მაშ რა მოუვიდოდა!

—

ლონდონში ერთი კაცი მომკვდარა, რომელიც ხიდზე საწვრიმალოსა ჰყიდდა და მუნჯი იყო; მაგრამ ამოჩნდა, რომ ადრე რაღაც დიდი დანაშაულობა ჰქონია და აღუთქვამს ამის მოსანანიებლად ოცი წლის განმავლობაში ხმას არ ამოვიღებო; მდიდარიც ყოფილა და აღთქმა ჰქონია ამ ხნის განმავლობაში არ ესარგებლა თავის სიმდიდრით. თოთხმეტი წელიწადი მტკიცედ ასრულებდა ამ აღთქმას და უეცრად მოკვდა თურმე.

—

რა რიგად არიან გავრცელებულნი და რა შემოსავალს აძლევენ გამომცემლებს ზოგიერთი გაზეთები სამხღვარს გარეთ, ამის მაგალითს წარმოადგენს პარიჟის გაზეთი „პტი ჟურნალ“. 1883 წელს წმინდა მოგება 3,850,000 ფრანკი ჰქონიათ გამომცემლებს (ჩვენს ფულზე ერთ მილიონ ნახევარზე მეტს შეადგენს); საკვირველიც არ არის, რადგანაც დღეში 730,000 ნომერი ისყიდება ამ გაზეთისა. უკანასკნელი სამის წლის განმავლობაში ხელის-მომწერი 50,000 მომატებია.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

მაისის 31-ს.

ორენბურგი. გუშინ დაიწყო ყაზანის სამხედრო ოლქის სასამართლოს განყოფილებაში გარჩევა იმ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ რომელიც ჩაედენიათ აქაურ იუნკრების სასწავლებელში საეკონომიო ნაწილის მართვის დროს; ბრალდებულებად არიან: ძველებური კავკასიელი მეომარი, პოლკოვნიკი პოტტო და საეკონომიო ნაწილის მმართველი, პოდპოლკოვნიკი შანტარინი; მოწმებად 43 კაცია მოწოდებული.

კონსტანტინოპოლი. პორტა მონაწილეობას არ იღებს კონფერენციაში, თუ ინგლისი ეგვიპტის საქმეს ყოველ-გვარის სისრულით არ განსჯის ამ კონფერენციაზე, ანუ თუ ინგლისი ეგვიპტის საქმის შესახებ წინდაწინვე არ მოილაპარაკებს ოსმალეთთან.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1--40	— — 1—80
— — 1—60	— — 2— ,,
— — 1—80	— 2 — 50
საუკეთესო 2—,,	— 3 — ,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—28)

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—12)

გამოვიდა და ისყიდება:
განქიცხული.
მოთხრობა
ა. მ. მოწხუბარიძისა (ყაზბეგისა)
ფასი ათი შაური.
ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შაქრდოვის წიგნების სააგენტოში.
ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.
(20—9)

ივერიის რედაქციისაგან
მიიღება ჯერ კიდევ ხელის-მოწერა ჟურნალს

„ივერიაზე“

ფასი მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან. რამდენიმე სრული ეგზემპლიარი წარსულის წლის „ივერიისა“ უკვე გაიყიდა და ამისათვის მისი დაბარება აღარ შეიძლება. (10—6)

ვაჭრობა სადებავებით

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

სადებავები ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

ლაქი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სადებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუყოვნებლად. (70—7)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი — **მაკ-მასტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—33)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

PAPIER RIGOLLOT
БУМАГА РИГОЛЛО
ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ
ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ
КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ
Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за *НАСТОЯЩУЮ* БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

P. Rigollot

Продается во всѣхъ аптекахъ.

ГЛАВНОЕ ДЕПО
24, Avenue Victoria
PARIS
Въ Парижѣ.

(32—10)

საგლობუსო  **კალმები**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, საკარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ჩემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოხი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაჟკი—20 კ. (100—90)

Доз. ценз. Тифлисъ, 31 Мая 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.